საზოგადოებრივ-პოლიტიკური
დამოუკიდებელი გაზეთი

599-908-918
599-233-390

E-mail: gazetirustavi@gmail.com,
gazetirustavi@mail.ru

რუსთავი

გაზეთი
გამოდის
1948 წლიდან

28

სექტემბერი 2024 წ.

№7
(109759)

ფასი 50 თეთრი

რუსთავ-თბილისის მარშრუტზე რუსთაველებს ახალი ავტობუსები მოემსახურება

გვ.-5

საქართველოს განათლების მინისტრი გიორგი ამილახვარი რუსთავის მე-7 და მე-17 საჯარო სკოლებს ეწვია

გვ.-2

ახალი ქალაქი დიდი ისტორიით

ამ სლოგანით რუსთავის მერიამ ქალაქის ბრენდირება დაიწყო

რუსთავში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარე პროექტის მორიგი ეტაპი დასრულდა

გვ.-3

2024 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც რუსთავის მერიამ უკვე დაასრულა

გვ.-5

რუსთავში მუნიციპალური სერვისების ცენტრის გახსნიდან ერთი წელი გავიდა

რუსთავი: გასული დღეების ქრონიკა

ახალი ქალაქი დიდი ისტორიით

ამ სლოგანით რუსთავის მერიამ ქალაქის ბრენდირება დაიწყო.

რუსთავის მაიდენტიფიცირებელი ახალი ფერთა გამის, ლოგოტიპის და სლოგანისგან შემდგარი ბრენდბუქის პრეზენტაცია, მედიათეკაში შეკრებილ საზოგადოებას რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ წარუდგინა.

პრეზენტაციას რუსთავისა

და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატი საქართველოს პარლამენტში ,,ქართული ოცნებიდან" ირაკლი შატაკიშვილი, პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი და ქალაქის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრები დაესწრნენ.

რუსთავის ბრენდბუქის ინსპირატორი ქალაქის უძველესი ისტორია, რუსთავის ციხე და უფლისწულთა რეზიდენციის- ვოსტანქალაქის ისტორიული ამბავია, რომელიც თანამედროვე რუსთავის აშენებამდე 16 საუკუნით ადრე არსებობდა.

ქალაქის ახალი ლოგოტიპი ქალაქის სახელწოდების პირველი ასოა, რომელიც ექსკლუზიური კალიგრაფიული ფორმითაა შესრულებული და რუსთავის გერბზე გამოსახული უძველესი ციხის გალავნის ასოციაციას ტოვებს. ლოგოზე არსებული ტალღოვანი ხაზები, ქალაქის სახელწოდებაში არსებულ სიტყვას- რუს, ანუ იმ არხს უკავშირდება, რომელიც თანამედროვე რუსთავის ადგილზე მე-4 საუკუნეში გაიყვანა თრდატ რევის ძემ.

აღმავალი შტრიხები კი ახალი რუსთავის ახალი განვითარების მანიშნებელია. ბრენდბუქის მთავარი ფერი ფირუზისფერია და გაცილებით შორეულ წარსულს, თრიალეთის კულტურის ხანას უკავშირდება.

რუსთავის ციხეზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი 41 970 არტეფაქტიდან უძველესი ძვ.წ XIX-XVIII სს-ითაა დათარიღებული და ფირუზისფერია.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ხელახლა აშენებული ქალაქი, რეალურად, უძველესი წარსულის- თრიალეთის კულტურის ეპოქის და უფლისწულთა რეზიდენციის ისტორიის მატარებელია.

ბრენდინგის პატერნი, ლოგოტიპი და სლოგანი- ,,ახალი ქალაქი დიდი ისტორიით», რუსთავის ქუჩებში რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა.

ცენტრალურ გამზირზე გამოფენილ ფირუზისფრად გაფორმებულ დროშებზე, ბილბორდებზე და მუნიციპალურ ტრანსპორტზე ქალაქის ახალი ლოგოტიპია გამოსახული.

ახალი განვითარების რუსთავის ბრენდირება ქალაქის მდიდარი ისტორიული წარსულის გაცოცხლებას, საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ქარხნების ქალაქის სტერეოტიპის გაბათილებას და რუსთავის თანამედროვე ქალაქად წარმოჩენას ისახავს მიზნად.

საქართველოს განათლების მინისტრი გიორგი ამილახვარი რუსთავის მე-7 და მე-17 საჯარო სკოლებს ეწვია

მინისტრი მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებსა და ადგილზე არსებულ ვითარებას გაეცნო. მინისტრთან ერთად სასკოლო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს რუსთავისა და გარდაბნის ათი თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შატაკიშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა ალექსანდრე დალაქიშვილმა და ქალაქ რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

ქალაქ რუსთავის მე-7 და მე-17 საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა.

რუსთავის მე-7 საჯარო სკოლა 965 მოსწავლეზეა გათვლილი. პროექტის ფარგლებში სკოლაში სასწავლო სივრცეების პარალელურად მოეწყო საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სასადილო, რეკრეაციული სივრცეები და სპორტული ინფრასტრუქტურა.

სკოლა სრულადაა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. შენობა უზრუნველყოფილია უსაფრთხოების სისტემებით და აღჭურვილია ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით, ინვენტარითა და ტექნიკით. პროექტის ღირებულება 5 500 000 ლარზე მეტია.

რაც შეეხება 920 მოსწავლეზე გათვლილ რუსთავის მე-17 საჯარო სკოლას, შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია. კეთილმოეწყო ეზო და სკოლა აღიჭურვა ყველა შესაბამისი სასწავლო რესურსით, ინვენტარითა და ტექნიკით.

პროექტის განხორციელების შედეგად, მე-17 საჯარო სკოლაშიც მოეწყო სასწავლო სივრცეები, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სასადილო, რეკრეაციული სივრცეები და სპორტული ინფრასტრუქტურა.

სკოლა სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და უზრუნველყოფილია გათბობისა და უსაფრთხოების სისტემებით. პროექტის ღირებულება 6 000 000 ლარამდეა.

ახალი სასწავლო წლის დაწყება, რუსთავის მერიამ ახალგაზრდებს ჯგუფ „ურსას“ კონცერტით მიულოცა

რუსთავის ცენტრალურ პარკში, სადაც შემოდგომის სეზონის ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა გასართობი აქტივობები თითქმის ყოველ საღამოს იმართება, ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილმა კონცერტმა, სრული ანშლაგით ჩაიარა.

სადღესასწაულო კონცერტს რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, რუსთავისა და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატი საქართველოს პარლამენტში ,,ქართული ოცნებიდან" ირაკლი შატაკიშვილი და პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი დაესწრნენ.

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ჯგუფის წევრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა და ახალგაზრდებს ახალი სასწავლო წლის დაწყება სცენიდანაც მიულოცა.

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია რუსთავში კიდევ ერთ ქუჩაზე დაიწყო

პროექტის ფარგლებში, თოდრიას ქუჩაზე არსებული მოედნიდან კაპანაძის ქუჩის გადაკვეთამდე, 10 000 მ2. ფართობზე, ასფალტ- ბეტონის ახალი საფარი მოეწყობა. განახლდება არსებული მოედნები, დამონტაჟდება გარე განათების ქსელი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სანიაღვრე არხებს, მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები და ახალი გაჩერებები, რაც ამ ქუჩაზე გადაადგილებას კიდევ უფრო უსაფრთხოს გახდის მოსახლეობისთვის.

სამუშაოების მიმდინარეობას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი გაეცნენ.

პროექტი, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება1 047 007 ლარია.

მიმდინარე წლის განმავლობაში, საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, სხვადასხვა სახის სამუშაო რუსთავში უკვე 39 ლოკაციაზეა დასრულებული და 8 მისამართზე მიმდინარეობს.

რუსთავში მოსახლეობის ჩართულობით შექმნილი კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება

ახალი რეკრეაციული და საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც მე-14 მიკრორაიონის №№46, 47 და 48 საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოში ეწყობა, რუსთავის მერიის დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის მიმდინარეობას ქალაქის მერი ნინო ლაცაბიძე და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრებთან ერთად, სამუშაო ფორმატში ადგილზე გაეცნენ.

გასულ წელს რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ ადგილობრივ მოსახლეობას ორი პროექტის პრეზენტაცია წარუდგინა და რუსთავის ბიუჯეტიდან ის პროექტი დაფინანსდა, რომელსაც მოსახლეობამ მიანიჭა უპირატესობა. პროექტით საფეხმავლო ბილიკების, მწვანე სივრცეების, საბავშვო მოედნის, ფანჩატურების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხის, გარე განათების და პარკირების ზონის მოწყობაა გათვალისწინებული. მოსახლეობის თხოვნით, ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის, ორი სხვადასხვა პროექტი შეიქმნა.

შიდა საუბნო სკვერის პარალელურად, მათი თხოვნით, სანიაღვრე ქსელის და შიდა საუბნო გზის მოწყობაც მიმდინარეობს.

რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე ნიდერლანდების სამეფოს ელჩს საქართველოში, მელინე არაკელიანს შეხვდა

რუსთავში ვიზიტით მყოფ ნიდერლანდების სამეფოს ელჩს ქალაქის მერმა მუნიციპალური სერვისების ცენტრში უმასპინძლა.

ნინო ლაცაბიძემ, მელინე არაკელიანს რუსთავში მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები, პროექტები და ქალაქის განვითარების ახალი ხედვა გააცნო.

,,საინტერესო შეხვედრა გვქონდა ნიდერლანდების სამეფოს ელჩთან, ვისაუბრეთ ქალაქის განვითარებაზე და სამომავლო პერსპექტივებზე. ელჩს გავაცანით რუსთავში მიმდინარე მუნიციპალური რეფორმები, რომელიც დღეს ქალაქში მერიის გუნდის მიერ ხორციელდება", - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

რუსთავის მერმა, ნიდერლანდების სამეფოს ელჩს საქართველოში, ქალაქში დაგეგმილი ეკოპროექტებიც გააცნო და დეტალურად ისაუბრა ჭალის ტყის განვითარების გეგმაზეც.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ნინო ლაცაბიძემ მელინე არაკელიანს, რუსთავის ახალი მედიათეკა დაათვალიერებინა, რომელიც ბიბლიოთეკების რეფორმის შედეგად შეიქმნა.

რუსთავში მუნიციპალური სერვისების ცენტრის გახსნიდან ერთი წელი გავიდა

ნინო ლაცაბიძე: 2025 წელი რუსთავის მერიისთვის განსაკუთრებული იქნება და ძირითადი ყურადღება სწორედ მოქალაქეების ინტერესებზე მორგებული ელექტრონული სერვისების განვითარებას დაეთმობა

საქართველოში, პირველ მუნიციპალურ სერვისების ცენტრში, ერთწლიანი ფუნქციონირების შედეგები პრეზენტაციის წარდგენით შეაჯამეს.

ცენტრში გამართულ ღონისძიებას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილი, რუსთავის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" წევრები და მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მუნიციპალური სერვისების ახალი ცენტრის შექმნის მთავარი მიზანი მოქალაქეებისთვის გამარტივებული და თანამედროვე სერვისების მიწოდება იყო.

რეფორმის შედეგად შემუშავებული მომსახურების თანამედროვე სისტემით, 2023 წლის 1 სექტემბრიდან დღემდე, რუსთავში 80 ათასამდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

ცენტრის ოფისში რუსთაველები ყველა მუნიციპალურ სერვისს, ერთ სივრცეში იღებენ, აქვე ხვდებიან მერიის სამსახურების წარმომადგენლებს.

ერთიან სისტემაშია ინტეგრირებული მერიის ცხელი ხაზის, ელექტრონული ფოსტის და კანცელარიის გზით შემოსული ინფორმაცია. მოქალაქეებს უნივერსალური და მითერ კონსულტანტები ემსახურებიან, აქვე ხდება მოქალაქეთა ჩაწერა სხვადასხვა თემატურ შეხვედრაზე დასასწრებად.

მუნიციპალური სერვისების რეფორმა, რუსთავის მერის ნინო ლაცაბიძის ინიციატივით, უკვე მესამე წელია, რაც მიმდინარეობს.

რეფორმის შედეგად, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის პარალელურად, თანამედროვე სისტემაზეა გადასული თითქმის ყველა მუნიციპალური სამსახური.

რეფორმა გატარდა მუნიციპალური ტრანსპორტის, დასუფთავების, გამწვანების, არქიტექტურის, სოციალური მომსახურების, მუნიციპალური ინსპექციის, კულტურის, სპორტის, განათლების ხელშეწყობისა და ახალგაზრდული პროგრამების მიმართულებით.

მუნიციპალურ სამსახურებში მიმდინარე რეფორმების სისტემატიზაციის მიზნით, შექმნილია ახალი სამსახური- მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი

რუსთავში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარე პროექტის მორიგი ეტაპი დასრულდა

კომპანია GWP-ი გაგარინის ქუჩაზე წყალსადენის ახალ ქსელზე ბოლო გადაერთებით სამუშაოებს ატარებს.

პროექტის მიმდინარეობას კომპანია GWP-ის წარმომადგენლებთან ერთად, მონიტორინგის მიზნით, ადგილზე გაეცნო რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე.

პროექტის ფარგლებში სრულად განახლდა 1.9 კმ-მდე სიგრძის წყალსადენის ქსელი, დამონტაჟდა 17 ერთეული ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდული და მოეწყო 15 ერთეული საკვანძო ჭა.

GWP-იმ გაგარინის ქუჩაზე შესრულებულ პროექტში 3,6 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა.

რუსთავის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, აღნიშნული გრძელვადიანი პროექტი უკვე მე-3 წელია, რაც მიმდინარეობს. ინვესტიციის საერთო ოდენობა 60 მილიონ ლარს შეადგენს.

რუსთავის მერიაში მუნიციპალური სერვისების რეფორმის ახალი ეტაპი მიმდინარეობს

რეფორმა მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

ტრენინგ-მოდულებს რუსთავის მერია, რეფორმების ფარგლებში შექმნილი სამსახურის - მუნიციპალური სერვისების განვითარების ცენტრის მეშვეობით ამუშავებს და თანამშრომლების ტრენინგ კურსებსაც თავადვე უზრუნველყოფს.

რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ და რუსთავის და გარდაბნის ისტორიული სოფლების დელეგატმა ირაკლი შატაკიშვილმა მერის მოადგილეებთან ერთად სერთიფიკატები რუსთავის მერიის იმ 25 თანამშრომელს გადასცეს, რომლებმაც მენეჯერობის უნარების ასამაღლებელი ტრენინგი სულ ცოტა ხნის წინ გაიარეს.

მიმდინარე ტრენინგ-კურსები რუსთავის მერიის 100-ზე მეტ თანამშრომელს უკვე გავლილი აქვს.

რეფორმების ცენტრის მიერ დაგეგმილია მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლების გადამზადება შშმ პირებთან ქცევის სტანდარტებზე. ასევე, მერიის სამსახურებისა და ა(ა)იპების თანამშრომელთა გადამზადება საგრანტო პროექტების წერის უნარებზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეფორმის ფარგლებში მოხდება.

კიდევ ერთი სკულპტურა რუსთავის ცენტრალურ პარკში განთავსდა

რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი კიდევ ერთი სკულპტურა რუსთავის ცენტრალურ პარკში განთავსდა.

,,სიყვარული" - ასეთი სახელწოდება აქვს რუსთაველი სკულპტორის, ივანე გულდედავას ნამუშევარს, რომელიც ნავით მოსეირნე წყვილს განასახიერებს.

თეთრი ეკლარის ქვით შესრულებული სკულპტურა პარკის შესასვლელში ტბასთან განთავსდა და კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ბუნებრივი ტყე-პარკის ლანდშაფტს.

ქანდაკების მონტაჟის პროცესს რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი და პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი ქალაქის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' წევრებთან ერთად დაესწრნენ.

ივანე გულდედავას ,,სიყვარული" რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი-2024- ის ფარგლებში შექმნილი 14 ქანდაკებიდან მეორე სკულპტურაა, რომელიც რუსთავის ვიზუალურ პორტფოლიოს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

სიმპოზიუმის ფარგლებში შექმნილი დანარჩენი 12 ქანდაკება ქალაქის სხვადასხვა უბანში ეტაპობრივად განთავსდება.

ღია კარის დღე აკადემიურ ქალაქში

ახალი სასწავლო წლის დაწყებამ საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რუსთავის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობასა თუ პედაგოგიურ კოლექტივს პასუხისმგებლობა გაუთკეცა. მიზეზი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის ახლებურ გადაწყვეტილებებსა და მიდგომებშია ასეთი ტიპის სასწავლებლების მიმართ, არამედ ის მიზეზიც არის, რომ ზაფხულის დასვენების პერიოდში ინსტიტუტის რექტორი ერთხელ კიდევ ესტუმრა საომარ მდგომარეობაში მყოფ უკრაინას, კერძოდ, ქალაქ კანევს, სადაც ზევით დასახელებული სასწავლებლის ხელმძღვანელობაა და სადაც კიდევ ერთხელ ერთობლივად იქნა მოაზრებული, როგორ და რა პრიორიტეტებით უნდა იმართოს დღეს საშუალო ტიპის სასწავლებლები, რომ კურსდამთავრებულებმა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევაში საკუთარი წვლილი შეიტანონ. აქვე დავსძენთ, რომ უკრაინის სამხრეთით მდებარე ქალაქ კანევში, არცკი იგრძნობა, რომ ქვეყანაში ომია.

მოკლედ, 23 სექტემბერს შევჩენკოს ქუჩის №5-ში განთავსებულ აკადემიურ ქალაქში ხალხმრავლობა იყო. ღია კარის დღეზე კოლეჯის ადმინისტრაცია იწვევდა სწავლის მსურველთ, მათ მშობლებს და პედაგოგებს, თავისთავად.

შეკრება დიდ სააქტო დარბაზში გაიმართა. სასწავლებელს მსურველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ეწვია.

ღონისძიება საქართველოს ჰიმნის ფონზე გაიხსნა.

სიტყვით გამოსვლისას ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა: – დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება ფრიად განათლებული და მიზანმიმართული ახალგაზრდობა. ქვეყნის მთავრობა, რომელიც განათლების სისტემის წინსვლისათვის ყველაფერს აკეთებს, ამ დარგში დასაქმებულთ, ყველა კატეგორიის მუშაკს ავალდებულებს, ისე იმუშაოს, რომ ბოლოსდაბოლოს ბოლო მოეღოს მოჩვენებითობასა და ამბიციურობას სასწავლო ობიექტებში, მოსწავლეთა უუნარო დამოკიდებულებას სწავლისადმი, პედაგოგთა თვითრეკლამასა და აჟიოტაჟს. საქმე უნდა გაკეთდეს ქვეყნისა და ამ ახალგაზრდების მომავლისათვის, ესაა და ეს...

იგი გულთბილად მიესალმა დარბაზში შეკრებილთ, მათ მშობლებს, თავის კოლეგებს და აღნიშნა: ზოგადად და კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე მთავარი ერთგულებაა, ამ თვისების გარეშე ვერც სამშობლოს გამოვადგებით, ვერც ჩვენს ქალაქს და ვერც საკუთარ თავს. ჩვენს სასწავლებელს არსებობის ოცწლიანი ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთ თაობას უმასპინძლა, ასწავლა, სამომავლო გზაზე გაისტუმრა. სიამაყით მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულთა თითქმის 100 პროცენტი ძალიან ჩქარა შოულობს სამუშაოს, აქ მიღებული განათლებითა და უნარ-ჩვევებით მაღალანაზღაურებადი მუშაკი ხდება. ჩვენ ვამაყობთ ასეთი ახალგაზრდებით. მათ აღებული დიპლომებით საქმიანობა შეუძლიათ არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

თვითდამკვიდრება და ინტეგრაცია ჩვენი საგანმანათლებლო ობიექტის მთავარი სლოგანია და პრაქტიკულადაც საჯაროდ ვაღიარებ, რომ აქ ჩვენთან ძალიან ბევრი ეროვნების ახალგაზრდა იღებს განათლებას არა მხოლოდ რუსთავიდან, არამედ მთელი ქვემო ქართლის რეგიონიდან. ისინი შესაძლებლობის ფარგლში სწავლობენ ქართულ ენას, წერენ, მეტყველებენ და მეორე, უდიდესი პასუხისმგებლობით ეუფლებიან არჩეულ პროფესიას.

დარგები შემდეგია: <u>კომპიუტერული ტექნოლოგიები, საპროექტო დიზაინი, დაცვა-პატრულირება, ბანკის ოპერატორი, ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, კბილის ტექნიკოსი, ვეტერინარი, ბაგა-ბაღის აღმზრდელი, კორესპონდენტი, გიდი, ტურიზმი.</u>

ეს პროფესიები აშკარად გამოყენებადია, რასაც დღევანდელი ღონისძიება და აქ მოსულ მსურველთა დიდი რაოდენობაც ადასტურებს.

სწავლა-სწავლება ორმხრივი პროცესია, ხაზგასმით მიმართა ორატორმა დარბაზში შეკრებილთ, აქ თქვენ უკვე აღარ ხართ სკოლელები. ჩვენთან განსაკუთრებული სიმკაცრეა აკადემიურ დასწრებაზე, სწავლის ხარისხზე, ქცევის კულტურაზე, ურთიერთობათა დონეებზე. ჩვენი სტუდენტები მთელი სამი წლის განმავლობაში, როგორებიც არ უნდა მოვიდნენ სკოლიდან და სახლიდან, პიროვნებებად ყალიბდებიან. მათ ძალიან მოსწონთ ჩვენი კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, არ გადავაჭარბებ, არა მხოლოდ მაღალ დონეზე ასწავლიან საგნებს, არამედ გამუდმებით ეცნობიან ახალგაზრდების სურვილებს, განწყობებს, მიზანსწრაფვას, ხატოვნად რომ ვთქვა, მათ სულსა და გულში შედიან, რათა ყველა ჩვენი სტუდენტისაგან კარგი ადამიანი და მაღალპროფესიონალი სპეციალისტი დადგეს. რექტორის გამოსვლაში აღინიშნა ისიც, რომ განათლებაში ჩადებული კაპიტალი არასოდეს იკარგება, თქვენც, დამერწმუნეთ, შეძლებთ სწავლის სიკეთის დანახვას და განსაზღვრას.

ორატორმა ახალგაზრდების მიერ დასმულ უამრავ შეკითხვას უპასუხა.

აღინიშნა, რომ სწავლა კოლეჯში პირველ ოქტომბერს დაიწყება. ამ დღეს მომზადებული შეხვდება კოლეჯის პედაგოგთა მთელი შემადგენლობა.

...უაღრესად მოწესრიგებული გარემო, კაპიტალურად რეკონსტრუირებული ცენტრალური მისასვლელი გზა, ყვავილნარით დამშვენებული ეზო, გაკრიალებული აუდიტორიები საჭირო რესურსებით, კარგად დალაგებული საგაკვეთილო ცხრილი და უდიდესი პასუხისმგებლობით სავსე პედაგოგები, ასეთი გარემოა ამ სასწავლებელში მოსულთათვის. წარმატებები ვუსურვოთ ყველა ახალგაზრდას.

ლია მარტაშვილი

აკადემია „მოზაიკა“ 25 წლიანი ისტორიით

რუსთავში არსებული ცეკვის აკადემია „მოზაიკის“ არსებობის შესახებ უკვე კარგად იციან ცეკვისა და მხატვრული ტანვარჯიშის მოყვარულებმა. მისი 25 წლიანი ისტორია მხოლოდ წარმატებებს უკავშირდება, რის მიზეზიც ძირითადად ნიჭიერ, პოტენციურ მოზარდთა შერჩევაა სასწავლებლისათვის. აქ სხვანაირად არავის იღებენ. პატარა ნინი ბერიძე კი, ამ 5 წლის წინ რომ მიიყვანეს ტანვარჯიშისა და ცეკვის შესასწავლად გასაოცარი უნარების გამოვლენით კონკურსის ჟიურის წევრთა გაოცება გამოიწვია, გოგონამ ჰიპ-ჰოპში დაიწყო ვარჯიში და თანატოლებთან პარტნიორებით შესაშურ შედეგებს მიაღწია. იგი 5 წლის განმავლობაში გამუდმებით იღებს გამარჯვებულის პრიზებსა და ჯილდოებს სხვადასხვა დონის კონკურსებში და მაყურებლის აპლოდისმენტებით ნამდვილად არის განებივრებული. ნინის უკვე კარგად იცნობენ ჩვენს ქალაქშიც. იგი ხშირად გამოდის საქალაქო, სასკოლო თუ აკადემიის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებზე მხოლოდ ერთი სურვილით, ასახელოს სასწავლებელი და თავისი პედაგოგები. დახვეწილი, გრაციოზული მოძრაობები, რიტმი, შინაგანი ცეცხლოვანი ცეკვის ყველა ილეთის ბრწყინვალედ შესრულება, სცენურობა, ცეკვას მორგებული ღიმილი, მაყურებელთან მუდმივი კონტაქტი, ეს ყველაფერი მაინც ერთი სურვილით, ისე იცეკვოს, რომ პირველ რიგში საკუთარ თავს აჯობოს, თვითონაც გაიხაროს და მაყურებელიც გაახაროს. მისი მუდმივი გულშემატკივარი და განუყრელი მეგობარი დედაა, ქეთევან ტაბატაძე, თავადაც ცეკვისა და ტანვარჯიშის მოყვარე, რომელიც თავის შესაძლებლობებს №33-ე ბაგა-ბაღში იყენებს, სადაც აღმზრდელად კარგა ხანია მუშაობს.

ნინი ახლა უკვე 22-ე სკოლის მე-7 კლასშია და ნამდვილად ამაყობს იმით, რომ მაღალი შემოქმედებითი მიღწევების გამო, გამოარჩიეს და აკადემიის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით მას ჯილდოდ მიეცა 950 ლარიანი უფასო აბონიმენტი მთელი წლის განმავლობაში.

ნინისთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან მას პირველი ადგილების მოპოვების გამო არაერთგზის მიუღია ფულადი ჯილდოები, მაგრამ ამჯერად თავის მშობლებთან და საყვარელ ბებიასთან მადონა ტუღუშთან ერთად უდიდეს მადლობას უხდის ყველა მასწავლებელს, ვინც მის გვერდით დგას და ასე გულშემატკივრობს მის ყველა სასცენო გამოსვლას რუსთავში, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ერევანში თუ სხვაგან გამართულ კონცერტებზე.

აკადემია „მოზაიკას“ დამფუძნებელი ახალგაზრდა ქალბატონი ნინა მაისურაძე (ნინა რიჩია), რომელიც 25 წელია ამ პროფესიულ საქმიანობას ეწევა და ცეკვა-ტანვარჯიშის ხელოვნებას ასწავლის მოზარდებს. თავად მან თბილისში სტუდია „გრაციაში“ მაღალაკადემიურ დონეზე ისწავლა ყველაფერი, შემდეგ კი გარშემოიკრიბა ნიჭიერი თანატოლები, პროფესიონალი მოცეკვავეები ნეი ქურდაძე, მარიამ ღონღაძე, ნინო წიწილაშვილი, ტატო ტყებუჩავა, ლიზი ადეიშვილი, მარიამ ჯაჭვაძე, ნათია გელაშვილი. ამ შემადგენლობამ მიაღწია ცეკვის ისეთ მასტერ კლასს, რომელიც თავისი შემოქმედებითი შედეგებით ამაყობს, რუსთაველ მოზარდთა დიდი და გემოვნებიანი ნაწილი სწორედ ამ აკადემიაში ირჩევს სწავლას.

საამაყოდ ამჟამად მარტო ისიც ღირს, რომ 20 ოქტომბრისათვის ამ აკადემიის მთელი შემადგენლობა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ საერთაშორისო დონის ცეკვის შეჯიბრში, ბეთლში მიიღებს მონაწილეობას. მსოფლიოს 16 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოდან მხოლოდ რუსთავში მოქმედი ხელოვნების აკადემია „მოზაიკა“ იქნება წარდგენილი და როგორც შესანიშნავი მოცეკვავე, აკადემიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნეი ქურდაძე გვეუბნება უსათუოდ გამარჯვებულნი დაბრუნდებიან რუსთავში. გამარჯვებულებს ჟიური ფულადი ჯილდოებით და სიგელებით დააჯილდოებს.

რაც შეეხება აკადემიის ხელმძღვანელსა და დამაარსებელს ნინა მაისურაძეს (ნინა რიჩის) იგი ცეკვისთვის დაბადებული ქალბატონია მომხიბვლელი, გარეგნული ვიზუალით და აღნაგობით. ის პატარაობიდან ცეკვავს და ამ პროფესიის გარეშე არ შეუძლია. თავისი საქმიანობის ექსპერტებადაც არამხოლოდ ქართველ პროფესიონალებს, არამედ ფრანგ, გერმანელ და ბერძენ სპეციალისტ ექსპერტებს ირჩევს.

ისიც ხაზგასასმელია, რომ ნინა არის ჩერლიდინგისა და თანამედროვე ცეკვების ფედერაციის პრეზიდენტი ქვემო ქართლში და თავად ხელმძღვანელობს ამ გეოგრაფიულ არეალში ღონისძიებების ჩატარებას. მსაჯთა ორგანიზებას, ყველა სხვა საპროექტო თემას. იგი ორი საუკეთესო შვილის დედაა და რა თქმა უნდა, მისი შვილებიც ცეკვისა და ტანვარჯიშის ხელოვნებას ეუფლებიან.

მოკლედ, პედაგოგებს ნინის წარმატებები და ნინის – თავისი პედაგოგების წარმატებები – ორივე მხარეს უხარია და, თანაც, როგორ. ასეთი ურთიერთგანცდების და ნინის გამარჯვებების ერთ-ერთი გულშემატკივარი ნინის პედაგოგი №22-ე საჯარო სკოლაში შორენა ღვინიაშვილიცაა, რომელიც თავისი მოსწავლის ყველა წარმატების შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს და ულოცავს.

ჩვენი მასალის დასასრულს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ თვით პედაგოგთა ხელით და საკუთარი ფინანსური ხარჯებით გაკეთებულ, ესთეტიურად ძალიან საინტერესოდ გადაწყვეტილ საცეკვაო დარბაზზე, სადაც შესვლა დიდსაც უხარია და პატარასაც.

ლია მარტაშვილი

რუსთავიდან თბილისის მიმართულებით თანამედროვე, ევროპული ტიპის ახალი ავტობუსები იმოძრავებენ

საქართველოს მთავრობის დახმარებით, რუსთავის მერიამ, 20 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი განახორციელა და 70 ერთეული ახალი, ევროსტანდარტის შესაბამისი ავტობუსი შეიძინა. რუსთავის ახალი ბრენდინგით გაფორმებული, 25 ავტობუსი, უკვე რუსთავშია და მოსახლეობას უკვე ემსახურება.

რუსთავში მიმდინარე მუნიციპალური ტრანსპორტის რეფორმის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა და თბილისის მიმართულებით, მგზავრთა გადაყვანის ათწლეულების პრობლემა გადაწყვეტილია.

ახალი მუნიციპალური ავტობუსების და მარშრუტების პრეზენტაცია, რუსთაველებს რუსთავის მერმა **ნინო ლაცაბიძემ** და რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში **ირაკლი შატაკიშვილმა** წარუდგინეს.

როგორც რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ აღნიშნა, რუსთავის ახალი მუნიციპალური ავტობუსები, დედაქალაქში ბასლაინის ხაზზე იმოძრავებენ, რაც თბილისში გადაადგილებას კიდევ უფრო კომფორტულს გახდის.

— საქართველოს ხელისუფლების დახმარებით და ჩვენი გუნდის ერთიანობით, რუსთაველებისთვის მიცემული კიდევ ერთი პირობა შევასრულეთ და რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, მგზავრთა გადაყვანის ათწლეულების პრობლემა გადაწყვეტილია. 70 ახალი ავტობუსიდან, რომლებიც სპეციალურად რუსთავი-თბილისის მარშრუტზე რუსთაველების კომფორტული მგზავრობის მიზნით შევიძინეთ, უკვე რუსთავშია და მოსახლეობას ხვალიდან მოემსახურება. შესრულებულია მოსახლეობის კიდევ ერთი თხოვნა, პირველივე მარშრუტი, ძველი რუსთავიდან, ქიმიკოსთა სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიამდეა განსაზღვრული. მნიშვნელოვანია, რომ რუსთავის ახალი მუნიციპალური ავტობუსები, დედაქალაქში ბასლაინის ხაზზე იმოძრავებენ, რაც თბილისში გადაადგილებას კიდევ უფრო კომფორტულს გახდის. ძალიან მალე ამოქმედდება კიდევ 3 ახალი მარშრუტი, ძალაში რჩება, უკვე მოქმედი ისნის მიმართულებაც და ჯამში, რუსთავიდან თბილისის მიმართულებით, რუსთაველები 5 სხვადასხვა გეზით შეძლებენ დედაქალაქში გამგზავრებას. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, საპარლამენტო გუნდს და ჩვენს რუსთაველ პარლამენტარებს. ამ ადამიანების თანადგომა რომ არა, ამ კიდევ ერთი ახალი შესაძლებლობის გაჩენას ჩვენი ქალაქისთვის, ვერ შევძლებდით", - განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

- ჩვენი გუნდის უმთავრესი პრიორიტეტი, მოსახლეობისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარება და მოსახლეობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისებით უზრუნველყოფაა. პრობლემა, რომელიც არ უნდა იდგეს თანამედროვე ქალაქში და რომელიც რუსთაველებს სამწუხაროდ ათწლეულების განმავლობაში გვქონდა, ფაქტობრივად გადაწყვეტილია. დღეიდან, ჩვენს სტუდენტებს, რომელთა ნაწილიც პრეზენტაციასაც დაესწრო და დედაქალაქში დასაქმებულ ათასობით რუსთაველს ეცოდინება, რომ სასწავლებელში, თუ სამსახურში წასვლა, მისთვის პრობლემა აღარ არის. ხვალიდან, ახალი ავტობუსების პირველი ნაკადი, სტაბილურად იმოძრავებს ზუსტად იმ მარშრუტზე, რა მოთხოვნაც ჩვენს თანაქალაქელებს ჰქონდათ. სულ მალე კი ამ მარშრუტს, კიდევ 3 მიმართულება დაემატება. ჩვენი ხელისუფლების და გუნდის ევროპული არჩევანი, სწორედ ასეთი პროექტების განხორციელებაში გამოიხატება. ევროპული გზა, ევროპულ, თანამედროვე ქალაქებზე გადის და ჩვენ, მოსახლეობის მხარდაჭერით, ძალას არ ვიშურებთ, რომ სწორედ ასეთი ქალაქი და ქვეყანა შევქმნათ,- განაცხადა ირაკლი შატაკიშვილმა.

მგზავრობის საფასურის გადახდა, საბარათე სისტემით - რუსთავი „ქარდით", „საქართველოს ბანკისა" და „თიბისი ბანკის" ბარათებით იქნება შესაძლებელი.

დამტკიცებულია სოციალური პაკეტიც, რომლის მიხედვითაც, სტუდენტების და შშმ პირებისთვის, შეღავათიანი ტარიფია განსაზღვრული. რუსთავის ახალი მუნიციპალური ავტობუსების მოძრაობის გრაფიკი, დედაქალაქის გაჩერებების ელექტრონულ ტაბლოებზეც იქნება დატანილი. დამტკიცებულია კიდევ 3 ახალი მარშრუტი: უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსამდე, რომელიც ვაკესაც გაივლის, რკინიგზის სადგურამდე და დიდუბის ავტოსადგურამდე. აღნიშნულ მარშრუტებზე სამოძრაოდ განსაზღვრული ავტობუსები, ეტაპობრივად შემოვა ქალაქში.

ახალ მარშრუტზე პირველი ავტობუსი ძველი რუსთავიდან, ქიმიკოსთა სპორტული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიიდან 07 საატძე გავა, ხოლო ბოლო ავტობუსი თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან რუსთავის მიმართულებით 01 სთ. და 05 წთ. გამოვა.

2024 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც რუსთავის მერიამ უკვე დაასრულა

რუსთავში, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ქუჩაზე, ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო. 11 ათას კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე, სადაც საავტომობილო გზა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, დღემდე არ არსებობდა, ასფალტის საფარი დაიგო. მოწყობილია ტროტუარები, ბირდიურები და გარე განათება, განახლებულია სანიაღვრე ქსელიც.

პროექტს მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დატვირთვა აქვს. ხანძთელის ქუჩის მოსახლეობა, დღეიდან, მუნიციპალური ტრანსპორტით სრულყოფილად ისარგებლებს.

ხანძთელის ქუჩაზე გამწვანების აქციაც მოეწყო და ახლადრეაბილიტირებულ ქუჩაზე სხვადასხვა სახეობის 100-ზე მეტი ნერგი დაირგო.

გრიგოლ ხანძთელის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 477 405 ლარით დაფინანსდა.



რუსთავში, ძველი რუსთავის რეაბილიტაციის ფარგლებში, ავარიული საცხოვრებელი კორპუსების სრული გამაგრება-რეაბილიტაცია, აქტიურად მიმდინარეობს.

2024 წელს რუსთავში ჯამში 16 კორპუსის გამაგრება-რეაბილიტაცია განხორციელდა.

მათ შორის ქაშაკაშვილის №8 და №10-ში, დონეცკელი მეტალურგების გასასვლელის №18-ში , კოსტავას გამზირის №1-ში, სადაც მოხდა საძირკვლების გამაგრება და ფასადების შეღებვა.

რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის ფარგლებში 11 კორპუსის გამაგრება-რეაბილიტაცია.

2024 წელს, რუსთავში ავარიული კორპუსების გამაგრება-რეაბილიტაციისთვის, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამში 8 070 856 ლარი იყო გათვალისწინებული



დასრულდა აფხაზეთის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუსაოები, რომელიც თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა. ქუჩას მთლიანად გამოეცვალა მიწისქვეშაკომუნიკაციები,გაკეთდა სანიაღვრეები, გარე განათების ქსელი, მოეწყო ტროტუარი და სარწყავი სისტემა. ბეტონის საფარი დაიგო აფხაზეთისა და ლომოურის ქუჩების დამაკავშირებელ გზაზე.

ტროტუარები მთლიანად მოპირკეთდა ფერადი ფილებით. გზის მთელ გაყოლებაზე მოეწყო ველობილიკები, დაიგო მარადმწვანე ხეები. გაკეთდა საზოგადოებრივი ავტობუსის მოსაცდელი.

აფხაზეთის და ლომოურის ქუჩა დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ლოკაციაა მთელს ქაალაქში.

პროექტი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 3 994 439 ლარია.

მანანა ოდიკაძე:

მინდა ხელი შევუწყო ჭეშმარიტად ნიჭიერ ადამიანთა შესაძლებლობებს

როგორ იქცა თბილისელი მანანა ოდიკაძე ჩვენს მანანად...

ცხელი ზაფხელის სამთვიანი მომაბეზრებელი და უინტერესო თვეების შემდეგ ცოტა გრილი და ცოტა ხმაურიანი სექტემბერი გვეწვია. აშკარად აგრილდა და გავხალისდით კიდეც. 6 სექტემბერს კი რუსთავის საზოგადოება ერთმა კარგმა ინფორმაციამ გაახალისა. ჩვენი თანამოქალაქე და უკვე ყველასთვის ცნობილი პიროვნება, კლინიკა „ემ მედის“ დირექტორი, ექიმი მანანა ოდიკაძე თავის ახლად გაშენებულ და ძალიან კოხტად, ესთეტიურად მოწყობილ ერთ-ერთ ძველ და ახლა უკვე რესტავრირებულ შენობაში რუსთავის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, საინტერესო შეხვედრაზე იწვევდა ყველა იმ კატეგორიის ადამიანს, ვისაც რუსთავი სიკეთის, სიყვარულის და მეგობრობის ქალაქად მიაჩნია ისევ და სულით ხორცამდე უყვართ რუსთაველები წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

მოხდა დაუჯერებელი რამ და ღონისძიებაზე თავი მოიყარა ლამის ნახევარმა ქალაქმა, ძირითადად, ინტელიგენციამ. პედაგოგები, სკოლის დირექტორები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ინჟინრები, მუსიკოსები, მსახიობები, ექიმები... უამრავი სხვაც, რომლებიც ერთურთთან შეხვედრამ ძალიან გაახარა და ღონისძიების მიმართ ცნობის წადილიც გაზარდა.

საგანგებოდ მორთული ეზოშემოგარენის ცენტრალურ ნაწილს ამშვენებდა წარწერა „მშვიდობისათვის – მეგობრობით“ ეს დევიზი ღონისძიების ავტორს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ბიძინა ივანიშვილის მოწოდება მთელ ქვეყანაში გახმიანდა. „მშვიდობით, ღირსებით, თანადგომით – ევროპისაკენ“.

იდეა საქმედ იქცა და „ემ მედის“ დირექტორმა გადაწყვიტა თავისი საცხოვრებელი სახლის ბუნებრივი გარემო გამოეყენებინა ქალაქის საზოგადოების თანამედროვე მიზნებისათვის, კერძოდ იმისთვის, რომ აქ შეიქმნას და დაფუძნდეს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებულ ადამიანთა მონაწილეობით ხშირად გამართავს ძალიან საინტერესო ღონისძიებებს, მუსიკის, ლიტერატურის, ცეკვის, სპორტის და სხვა მიმართულებით.

საკონკურსოდ შექმნილი ჟიური ობიექტურად შეაფასებს ყველა მონაწილის შესაძლებლობებს და გამარჯვებულებს ჯილდოებს გადასცემს, ჟიური კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტდება. ამ სურვილის შესახებ **მანანა ოდიკაძემ** ღონისძიების გახსნისას საჯაროდ განაცხადა.

– ადამიანები დაიღალნენ პოლიტიკით, პოლიტიკურ თემებზე საუბრით. ჩვენს ქალაქს და მის მოსახლეობას ახლა სხვა სურვილები აქვს, კერძოდ, ამიერიდან ჩვენ შევეცდებით ხელი შევუწყოთ ჭეშმარიტად ნიჭიერ ადამიანთა შესაძლებლობებს, გავაცნოთ ისინი ქალაქს, ქვეყანას. ჩვენთან სტუმრად მოვიწვევთ სახელოვან ადამიანებს დედაქალაქიდან, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან. სახელქებულ ადამიანთა ბიოგრაფიით დავაინტერესებთ ახალგაზრდებს, რათა უფრო მეტი გაიგონ, რას ნიშნავს ცხოვრების შინაარსიანად გატარება. გამოსვლისას არაერთხელ დააჯილდოვეს ორატორი ტაშით.

ღონისძიებას სტუმრად ეწვივნენ ქართული ტელევიზიის და ესტრადის თანამედროვე სახეები: ბაბი კირკიტაძე და ცნობილი ტელეწამყვანი და ჟურნალისტი გია ჯაჯანიძე, ტელევიზიის სხვა მუშაკები, რომელთაც თავიანთი ვოკალური გამოსვლით ძალიან გაალამაზეს საღამო.

სიტყვით გამოსვლისას გია ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ არა მხოლოდ რუსთავში, თბილისშიც კარგად იცნობენ მანანა ოდიკაძეს, ის ჩვენი ბაბის ღვიძლი დეიდაა და ჩვენი ტელევიზიის ყველა მუშაკიც უდიდეს პატივს ვცემთ ამ ხალისიან, ენერგიულ, მუდამ სიკეთისათვის შემართულ ადამიანს. ჩვენ ძალიან გვიყვარს რუსთავი და დღეს დიდი სიამოვნებით გეწვიეთ. ამ დიდი ისტორიის ქალაქს არავინ უნდა უღალატოს. ჩვენ თქვენს გვერდით ვიქნებით.

სიტყვით გამოსვლისას რეპუბლიკის სახალხო არტისტმა, ჩვენი თეატრის წამყვანმა მსახიობმა ნათელა მუხულიშვილმა ხაზი გაუსვა მანანა ოდიკაძის პიროვნულ მახასიათებლებს – მის დაუდგრომელ, საქმიან ბუნებას, უდიდეს სიყვარულს ჩვენი ქალაქის მიმართ და მის ორგანიზატორულ ნიჭს თუნდაც ამ ღონისძიების ჩატარების ფაქტით.



ღონისძიების ძალზე საინტერესო სიმბოლოდ იქცა მუსიკის თანხლებით თეთრი მტრედების აფრენა ცისკენ, რაც მშვიდობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, რა თქმა უნდა.

ამ მოვლენისა და ფაქტის აღწერის შემდეგ უპრიანი იქნება მათ, ვინც, შესაძლებელია, არ იცნობს მანანა ოდიკაძეს, ცოტა რამ ვუთხრათ მის შესახებ.

დაიბადა ქალაქ ზესტაფონში განათლებულ, სახელოვან ოჯახში. დედა – ექიმი გინეკოლოგი ლიზა ჩიქობავა არა მხოლოდ აღიარებული ექიმი იყო, არამედ ქველმოქმედიც, რომელმაც თავის დროზე ქალაქში ჩამოაყალიბა დედათა და ბავშვთა ასოციაცია და განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევდა ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად შეჭირვებულთ. იგი ორი წლის წინ გარდაიცვალა, მისი სახელით გარდაცვალების შემდეგაც ზესტაფონში ყველა ამაყობს. მამა – ანზორ ოდიკაძე, ღვინის ტექნოლოგი იყო. ოჯახისა და შვილების მოყვარული მამა, რომელიც თავის სამივე შვილს, ორ ქალიშვილსა და ერთ ვაჟიშვილს ერთდროულად მამად და მეგობრად ედგა გვერდში.

სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მანანამ მშობლების რჩევით მოსკოვის ცნობილ სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, მოგვიანებით გათხოვდა და შემდეგ საქართველოს მონატრებამ ისევ თბილისში დააბრუნა, აქ განაგრძო სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში. შემდეგ სამი შვილი და სამსახური, ბედნიერი ცხოვრება და ბიოგრაფია, ახლობლები და მეგობრები, მანანა ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. სამწუხაროდ, სააკაშვილის ავდრიანმა პოლიტიკამ მის ოჯახსა და მდგომარეობასაც უწია, ყველაფერი დააკარგვინა, სახლი, სამსახური, მომავალზე ფიქრიც კი. ინერვიულა და ძალიან სერიოზულადაც, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით ამ ნიჭიერმა ქალმა საკუთარ თავში მოძებნა ძალები და დაბნევის ნაცვლად სრულიად ოპტიმალური განზრახვებით განაგრძო ცხოვრება არა მხოლოდ შვილებისა და ოჯახისათვის, არამედ საქმისთვის და ქვეყნისთვის.

იგი ოჯახით რუსთავში ჩამოდის, ბინას ქირაობს და აგრძელებს სამუშაოს ექიმის სპეციალობით. მან შექმნა კლინიკა „ემ მედი“ ქალაქის

შემოსასვლელის მარცხენა ტერიტორიაზე და იქ დაფუძნებული დაწესებულებით შეძლო დაესაქმებინა კოლეგებიც, მის გვერდით მთელი 10 წლის განმავლობაში ერთგულად მუშაობენ ექიმები **რამაზ ბაიაძე, ლელა დონაძე, ეთერ ბედინეიშვილი, თინა ალექსიძე-გაბაშვილი**, თანამშრომლები **ნანა ჭიპაშვილი და ლალი ადამია.**

დღეს „ემ მედი“ მსგავსი ტიპის დაწესებულებათა შორის ყველაზე ხალხმრავალი დაწესებულებაა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის უპირატესობის გამო. ერთდროულად წლების განმავლობაში მანანა ოდიკაძე იყო რუსთავში შექმნილი პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე, რა დროსაც მან არაჩვეულებრივი უნარები გამოავლინა, როგორც ორგანიზაატორმა, პენსიონერთა ჭეშმარიტად გულშემატკივარმა, ჩვენი ქალაქის ყოველდღიურობით დაინტერესებულმა პიროვნებამ. მის დროს ხშირად ტარდებოდა ხალხმრავალი ღონისძიებები, დაბადების დღეები, ორიგინალურ ფორმაში აღინიშნებოდა ქვეყნის სადღესასწაულო თარიღები, გამოდიოდა ბეჭდვითი ორგანო პენსიონერებისათვის, ხშირად ვესწრებოდით თბილისში გამართულ პენსიონერთა საჯარო შეკრებებს.

ამ საქმიანობამ, რუსთაველებთან ძალიან გულმართალმა დამოკიდებულებამ თბილისელი მანანა ოდიკაძე ჩვენს მანანად აქცია. ეს კუთვნილებითი ნაცვალსახელი ალბათ მხოლოდ ცოტათი გამოხატავს მისდამი დიდ სიყვარულს. კულტურული, დახვეწილი ინტელიგენტი, უმშვენიერესი გარეგნობით, ღვთისნიერი თავმდაბლობითა და ქართული ტრადიციული ოჯახიდან გამოყოლილი სიკეთით, ასეთია ქალბატონი მანანა, რომელსაც ძალიან ბევრი სამომავლო გეგმა აქვს სარუსთავოდ, და მიაჩნია, რომ ისტორიულ ნაფუძვარზე აშენებული ახალგაზრდა ქალაქი ყველაზე საყვარელი და საინტერესო ადგილია მისთვის, მითუმეტეს დღეს, როდესაც, როგორც თვითონ ამბობს, ქალაქის დღევანდელობას გონიერი ხელმძღვანელობა მართავს.

მანანა ოდიკაძე, როგორც სამი საუკეთესო შვილის დედა, უსაყვარლესი შვილიშვილების ბებია, ეს კიდევ ცალკე თემაა.

წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მანანას რუსთავის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ლია მარტაშვილი

დარეჯან ნოზაძე:

მშობლიური კერა არ გავაცი

დარეჯან ნოზაძე, მხატვარი, პოეტი, პედაგოგი, ჩოხოსანთა საზოგადოების წევრი, ძალიან საქმიანი ადამიანი, რომელსაც არასოდეს გასჩენია სურვილი თავის თავზე ხმაურით ესაუბრა ვინმესთან, ან გაზეთში დაბეჭდილიყო მასზე რაიმე.

არადა, რამდენი რამაა მასზე მოსაყოლი.

ათეული წლის შემდეგაც იგი ამქვეყნიდან წასული თავისი მშობლების სახლში გახსნილ სახელოსნოში საქმიანობს და მიაჩნია, რომ ოჯახური კერა არ უნდა გაცივდეს. სახელოსნოს კედლებზე მხატვრის უამრავი ნამუშევარია: პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, ნაქარგები, ყველაზე მეტი კი ხატები. დარეჯან ნოზაძე ყველა სხვა რუსთაველი მხატვრისაგან განსხვავებით, ერთდროულად მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, კერამიკაში, დაზგურ ხელოვნებაში, კალიგრაფიაში, ხატწერაზე.

სულ ახლახანს მან დაამთავრა ქართული ანბანის გრაფიკული ხატვა და ახლა მის ფერწერულ ვარიანტზე მუშაობს. თავისი შემოქმედების საინტერესო მხარედ მიიჩნევს ღვთითბოძებულ ნიჭს ხატწერაში, რომელის შესრულებისას განსაკუთრებული სიმშვიდე ესაჭიროება და საგალობლების მუსიკის ფონზე ღვთის კარნახით იქმნება უფლის, დედაღვთისმშობლის, წმინდანთა და ღმრთით შემოსილ მამათა სახეები. იგი რამდენჯერმე შეხვდა უნეტარსსა და უწმინდესს ილია II-ს.

მხატვარ დარეჯან ნოზაძის ერთი უმშვენიერესი ნახატი „მზიანი ღამე“ პატრიარქმა რომ ნახა, თავად სთხოვა ავტორს, რომ საპატრიარქოსთვის ეჩუქებინა. ამ ნახატის ასლი მხატვრის

სახელოსნოში ჰკიდია. ნახატში ფრიად საინტერესო ჩანაფიქრია და ბევრს ეუბნება მნახველს გამოსახული ფიგურებითა და ფერებით. სამყარო თავისი მარადიული ფორმულით, მიწა ვართ და მიწად ვიქცევით, ფერწერული ტილოს თემაა. მთავარი ფიგურის თავზე სამების სამი სიმბოლური გამოსახულებაა. ცენტრში, ადამის ვაშლი და ისევ მაღლა, ცისფერ ფონზე მკრთალად შესრულებული ფარშევანგის ფიგურა – ადამიანის აუხდენელი ოცნებების სიმბოლოდ. ეს ძალიან საინტერესო ნამუშევარი, საპატრიარქოს კედელზეა, რაც შემოქმედისათვის დიდი სიხარულის საბაბია.

დარეჯან ნოზაძის ნახატების გამოფენა არაერთხელ გამართულა რუსთავში, თბილისში... იგი, ისევ ბევრი სხვა რუსთაველი მხატვრისაგან განსხვავებით, დროის რაციონალური გამოყენებით ასწრებს, იმუშაოს ორ საჯარო, მე-14 და მე-17 სკოლებში, 13 ასურელი მამის სახელობის კერძო სამრევლო სკოლაში – სახვითი ხელოვნების საგნის მასწავლებლად და ასობით ბავშვს შეაყვაროს ხატვის ხელოვნება, რაც მთავარია, ასწავლოს და გაათავისებინოს ახალგაზრდა თაობას სამყაროს მშვენიერების აღქმის უნარი. პედაგოგს თავისი საკუთარი სამხატვრო სკოლაც აქვს, სადაც უამრავი ბავშვი ეუფლება მისი ხელმძღვანელობით ხატვას და ყველაზე მთავარი, ამ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა არაერთხელ ეწყობა რუსთავსა და თბილისში, გასულ წელს დარეჯან ნოზაძის სამი მოსწავლის ნამუშევარმა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში ჩატარებულ ხატვის საერთაშორისო ფესტივალზე გაგზავნილმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილე 3000 მოსწავლის ნამუშევარს შორის, გაიმარჯვა და ფესტივალის პრემიით დაჯილდოვდა, ავტორებს კი ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ეს გასაოცრად ენერგული, მიზანმიმართული ქალბატონი უამრავი შემოქმედებითი პროექტის ავტორია, ამ პროექტებს ქალაქის მერიც ეცნობა და ბევრს ალბათ პრაქტიკულად განხორციელებაც მოუწევს. სულ ახლახანს მხატვარი ჩეხოსლოვაკიაში ქალაქ პრაღაში იყო ორი თვით და იქაც უჩვეულ;იდ საინტერესო ღონისძიებით დაამახსოვრა თავი ჩეხ მასპინძლებს და ქართველ ემიგრანტებს. ქართული საელჩოს გავლით მან იქაური ემიგრანტი ბავშვებისათვის განახორციელა პროექტი სახელწოდებით „იფიქრე ლამაზად“. ემიგრანტმა ბავშვება შექმნეს ნახატები საქართველოზე, რომელიც არც კი უნახავთ და ხალხმრავალ დარბაზში გამოფენა მოაწყვეს. თავიანთი შემოქმედებითი ხედვით ყველა მათგანმა გაიმარჯვა და ულამაზესი ნახატები შექმნა საქართველოზე. ისინი სპეციალურმა ჟიურიმ სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მათ სამუდამო მეგობრობა გამოუცხადეს საქართველოდან ჩასულ ხელოვანს, მხატვარ დარეჯან ნოზაძეს და დაპირდნენ, რომ საქართველოში ჩამოსვლისას აუცილებლად მოინახულებენ მას.

აქვე აუცილებელი იქნება აღვნიშნოთ, რომ პრაღაში სწავლობს და მუშაობს დარეჯანის უნიჭიერესი ქალიშვილი ანა, რომელმაც რუსთავში სკოლის დამთავრების შემდეგ ასევე წარმატებით დაამთავრა პრაღის საერთაშორისო უნივერსიტეტი სოფლის მეურნეობის მიმართულებით და გამოცდები ჩააბარა მაგისტრატურაში. დიპლომების ოფიციალურად გადაცემის საზეიმო ღონისძიებაზე დარბაზში სხვა მშობლებთან ერთად ანას დედაც იჯდა, ერთადერთი ქართველი სტუდენტის დედა, რომელსაც პროფესორ-მასწავლებლები მადლობას უხდიდნენ საუკეთესო შვილის აღზრდისთვის. ყველა ლექტორი ერთნაირად აღნიშნავდა ამ მიზანსწრაფული ქართველი ახალგაზრდის შესახებ.

– მე ძალიან ამაყი და ბედნიერი ვიყავი, ეს ეპიზოდი დაუვიწყარი იქნება ჩემს ცხოვრებაში. ზოგადად პრაღამ, მისმა ღირსშესანიშნაობებმა და აქაურმა ადამიანებმა მომხიბლეს. ვისურვებდი, ბევრი სიკეთე გადმოგვეღო მათგან.

– როდის ეძლევა შთაგონება ხატვისათვის და რა არის მისთვის ინსპირაციის წყარო...

–წაკითხული წიგნი, ბუნება, შეხვედრილი ადამიანები, ნანახი ფილმები, მე ბევრს ვმუშაობ, სხ-

ვანირად არ შემიძლია.

შემთხვევით არაფერი ხდება და ოჯახში, სადაც დედა, მამა, შვილები გამუდმებით მღეროდნენ, უკრავდნენ ფანდურს, გიტარას, უამრავი სახელქებული სტუმარი მოდიოდა, მწერლები, პოეტები, მხატვრები, ამ ქართულ ღირებულებებზე იზრდებოდა პატარა გოგონაც, რომელიც ძალიან ხშირად ჩაიკეტებოდა ცალკე ოთახში და გამუდმებით ხატავდა.

– მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი იყო სწავლა და სწავლა...

დაამთავრა სკოლა და მოსე თოიძის სამხატვრო სასწავლებელი თბილისში, შემდეგ სანკტ-პეტერბურგში წავიდა ხატვის ცნობილ სპეციალისტებთან და სწავლა დაიწყო ერთ-ერთ ცნობილ სამხატვრო სკოლაში. იქიდან ჩამოსული სწავლას აგრძელებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაზგური ფერწერის რესტავრაციის ფაკულტეტზე. წარმატებით ამთავრებს აკადემიას და გამუდმებით ხატავს. მისი ერთი ძალიან საინტერესო ნახატი „გარდამოხსნა“ რუსთავში ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე მთავარანგელოზის ტაძარში აღმოსავლეთის კედლზეა განთავსებული, თვითონ 13 ასურელი მამის სახელობის ეკლესიის მრევლია, ათეული წლის განმავლობაში და თავის სახელოსნოშიც

შველის და ყველასთვის საყვარელ პიროვნებად აქცევს. დარეჯან ნოზაძის ორი ვაჟიშვილი ლუკა და ლაზარე საუკეთესო ქართველები არიან და თავიანთი საქმიანობით დედ-მამის სახელსაც ასახელებენ და ჩვენი ქალაქისასაც.

მხატვრის საღებავების სუნით გაჟღენთილ სახელოსნოში ერთ-ერთ მაგიდაზე ჩეხი ფრანც კაფკას წიგნი „პროცესი“ დევს. იგი ბევრს კითხულობს და მიაჩნია, რომ მხატვარი უწიგნოდ ბრმა და ყრუა. თავადაც ხშირად უჩნდება წერის სურვილი და საკუთარი ლექსების ქაღალდზე გადატანის ცდუნებას ვერ უძლებს. სახელოსნოს კედლებზე უამრავი ჯილდოა. მათი დათვალიერება ერთ რამედ ღირს, მაგრამ ეს უპრეტენზიო ქალბატონი ამბიციებისაგან თავს იკავებს. არადა, ფაქტი სახეზეა. რუსთავს მისი სახით ჰყავს ძალიან გამორჩეული შემოქმედი, არაჩვეულებრივი პედაგოგი, რაც სრულიად ბუნებრივად ჩვენც სიამაყის განცდას უნდა გვიჩენდეს. ისიც სათქმელი, რომ იგი საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოებაში კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილეა და მშვენივრად უძღვება საქმეს.

...ყველაზე თბილი კერა კი მხატვრისათვის მშობლიური, დედ-მამის კერაა, სადაც იდუმალი კოსმიური კავშირები თაობათა შორის ისევ გრძელდება და რაც მუდმივად მუხტავს შემოქმედს ახალი შემოქმედებითი აზროვნებისათვის.

გაზეთის მკითხველის, ყველა მისი აღზრდილისა და აღსაზრდელის სახელით დიდ სიყვარულს ვუცხადებთ დარეჯან ნოზაძეს, რომელიც ჩვენს ქალაქს ყველაზე საყვარულ ქალაქად მიიჩნევს, ხოლო მის ახლანდელ მერს იმ ღრმად მოაზროვნე ქალბატონად, რომელმაც თავისი საქმიანობის კვალი ბევრ რამეს დაატყო.

და ისევ მშობლიური კერა. ძალიან ემოციური გახსენება იმ ეპიზოდისა, თუ როგორ მიჰყავდა მამას თავისი შვილები ტყეში და იქ ხისგან გამოთლილი სალამურებით როგორ ასწავლიდა დაკვრას. ამ ბედნიერი ყმაწვილობის მუსიკის ხმა დროდადრო რომ ჩაესმის ყურში, აგრძნობინებს, რომ სიცოცხლე არაფერია თუ არა მხოლოდ სამყაროს მშვენიერების აღქმა. ამას ასწავლის მოსწავლეებსაც – სიცოცხლის აზრი მშვენიერების აღქმასა და მის დაფასებაშია.

ლია მარტაშვილი

ინფორმაცია კომენტარით

„ჩვენ, რუსთაველები“



მკითხველმა, თუმცა, ტექნიკური მიზეზების გამო, დიდი დაგვიანებით, მიიღო რუსთავში მცხოვრებ მწერალთა მხატვრული ნაწარმოებების ახალი კრებული „ჩვენ, რუსთაველები“. კრებულის რედაქტორის, მარინე ცხვედიაშვილის წინასიტყვაობიდან: „...დღეს აღორძინებული, განახლებული ქალაქი, რომელიც ერთი ჭარმაგი კაცის ხნისაა და 75 წელს ითვლის, არამარტო თავისი ეკონომიკური პოტენციალით, მაღალკვალიფიციური კადრებით, მოწინავე ინტელექტუალური ძალებით იწონებს თავს, არამედ დიდი სახელოვნებო სკოლითაც. წინამდებარე წიგნიც რუსთაველი მწერლების შემოქმედებას ასახავს“.

„ჩვენ, რუსთაველები“ მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს როგორც დიზაინით, ისე შინაარსით, წარმოდგენილი ავტორების ნაწარმოებებით. კრებულს, სადაც დაბეჭდილია 49 ავტორი, აქვს პოეზიის, პროზის, ლიტერატურული წერილების, კვლევანის განყოფილებები. მკითხველი ინტერესით გაეცნობა და შეაფასებს მათ ლექსებს, მოთხრობებს, როგორც ორიგინალურს, ისე ნათარგმანებს, ლიტერატურულ წერილებს, თანამოკალმეებსა და მათ ნაღვაწზე, აგრეთვე კვლევითი ხასიათის ნარკვევს.

ამ წერილის მიზანი არაა ცალკეული ავტორებისა და მათი შემოქმედების განხილვა, ეს სხვა წერილის თემაა. აქ კი აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ, როგორც წინა გამოცემებს, ისე ამ ნომერსაც არ აქვს კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება.

აქ უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ სერიოზულ ნაკლს, გარკვეული თუ გაურკვეველი, მაგრამ ორივე შემთხვევაში გაუზიარებელი მიზეზების გამო, ვერც რესპუბლიკის მასშტაბით გამოცემული კრებულები, ჟურნალები, ალმანახები აღწევენ თავს, არადა, მარტო სახოტბო, მაამებლური წერილებით მწერლობა ფონს ვერ გავა... გამოქვეყნებული ნაწარმოებების მაინცდამაინც კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარება თუ არა, საკუთარი აზრის, შთაბეჭდილების გამოხატვა, პირუთვნელი კოლეგიალური რჩევა როგორ სასიკეთოდ წაადგებოდა და წაადგება ნებისმიერ ავტორს. უამისოდ ხომ ავტორი მხოლოდ საკუთარი გემოვნებისა და გამოხატვის შესაძლებლობების წინაშე (რომ არ ვთქვათ, ტყვეობაში!) რჩება და ბოლოს, სრულიად ლოგიკურად ვღებულობთ შედეგს: ვერც ავტორი იზრდება და ვერც ლიტერატურა ვითარდება.... ხომ ცნობილია, რომ თვით ქართული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდიაც არ თაკილობდა და ითვალისწინებდა თანამოკალმეების მიერ მეგობრულ, კოლეგიალურ შენიშვნებს, რჩევებს. სხვებიც, სხვებიც...

„ჩვენ, რუსთაველები“-ს როგორც წინა ნომრებში, ისე ამ ახალ ნომერში რატომ არ ვხვდებით რუსთავში მცხოვრები ყველა პოეტისა თუ პროზაიკოსის შემოქმეებას, მათ შესანიშნავ, დროით ნაკარნახევ ლექსებს, მოთხრობებს, რომანსაც კი, რომლებიც მკითხველ, წიგნიერ საზოგადოებაში მოწონებითა და სათანადო შეფასებით სარგებლობს... მათ ნაწერებს რატომ ჩვენი კრებულიდანაც არ იცნობს მკითხველი? ან იმ ავტორებს არ აქვთ ინფორმაცია ჩვენი კრებულის შესახებ(!), ან... ან... ან...

ამ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. პასუხი უნდა გაეცეს ამ კითხვასაც: ახალ ავტორებს რომ ვიზიდავთ, ძველ, უკვე ცნობილ ავტორებს მაინც როგორ და რატომღა ვკარგავთ? მაგალითები? არის, არის...

და კიდევ: მიმაჩნია, რომ რუსთაველი მწერლების მხატვრულ-ლიტერატურული კრებულის – „ჩვენ, რუსთაველები“-ს ყოველი ახალი ნომერი ლიტერატურის მოყვარულთათვის მოვლენის ტოლფასია და სარედაქციო საბჭო და სარედაქციო კოლეგია არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი პრეზენტაციით... ეს იმიტომ, რომ პრეზენტაციას ყოველვის საზეიმო ხასიათი აქვს... ეს სასურველია, მაგრამ არასაკმარისი! კრებულის ყოველი ახალი ნომერი ფართო აუდიტორიის წინაშე უნდა განიხილებოდეს და ამ დროს ავტორთა და მკითხველთა მიერ გამოთქმული შენიშვნები, შეთავაზებული წინადადებები გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გამოცემის მომზადებისას.

აქვე: სასურველი და მარტო სასურველი კი არა, აუცილებელიცაა, კრებულის ყოველი ახალი ნომერი მხოლოდ შემოსული მასალებით, ძირითადად ლექსებითა და მოთხრობებით არ მზადდებოდეს. სარედაქციო საბჭომ და სარედაქციო კოლეგიამ წინასწარ უნდა დაგეგოს მომდევნო ნომერი, დაგეგმვის დროს კი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მაღალგემოვნებიანო, მომთხოვნი მკითხვლის ინტერესები. და მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული „ჩვენ, რუსთაველები“-ს ალმანახად მოხსენიება. ამ საკითხზე ფართო, არგუმენტირებული მსჯელობისთვის ყოველთვის მზად ვარ... რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი და შესაძლებლობა იქნება...

რუსთავს აქვს ალმანახის, კრებულის გამოცემის საკმაოდ მდიდარი ტრადიცია. გავიხსენოთ ცხონებულ კარპე მუმლაძისა და მურად ჭოლოკავას რედაქტორობით გამოსული „რუსთავის ჩირაღდნები“, „ორბეთი“ და დღეს გასარკვევი და მისაღწევი არ უნდა იყოს, როგორ უნდა მზადდებოდეს გამოსაცემად „ჩვენ, რუსთაველები“. როგორც ასეთ დროს იტყვიან, ველოსიპედი უკვე გამოგონებულია და...

წერილის დასასრულს: „ჩვენ, რუსთაველები“-ს ეს ახალი ნომერი თავისთავად ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორი შემოქმედებითი პოტენციალის მქონე მწერლები ჰყავს რუსთავს... და იმისაც, რომ ისინი სადღეისოდ და უფრო კი სამომავლოდ, მეტ გულიან და პასუხისმგებლიან ყურადღებას იმსახურებენ და კიდევაც საჭიროებენ...

თინათინ სიყმაშვილი

ახალი წიგნები

წიგნი ეძებს მკითხველს

რუსთავის საქალაქო ცენტრალური ბიბლიოთეკა თავისი ფილიალებით მდიდარი წიგნადი ფონდით ემსახურება ქალაქს დაარსებიდან დღემდე. სამწუხაროდ ფაქტია, რომ კომპიუტერსა და ტელეფონს მიჯაჭული ადამიანების დიდი ნაწილი წიგნს ფაქტიურად ჩამოშორდა, თანაც იმდენად ძალიან, რომ შეიძლება წელიწადში ერთი წიგნიც კი არ გადაშალოს, არ დაინტერესდეს ნებისმიერი დარგის ნებისმიერი ახალი ან ძველი გამოცემით. არადა, ბევრს ასეთს, თავიანთი თავი ინტელიგენტებად, წიგნიერ ადამიანებად მოაქვთ. იყო დროპ, მკითხველი წიგნს ეძებდა, თხოულობდა, ყიდულობდა ბიბლიოთეკის მკითხველთა რიგში იდგა, რომ თავისთვის საჭირო წიგნი ეშოვა და წაეკითხა. ახლა კი, წიგნს ლაპარაკი რომ შეეძლოს, ხმამაღლა გვეტყოდა – მე გეძებ, მკითხველო!

წიგნი კაცობრიობის მეხსიერება რომ არის, ეს ცნობილია, მისმა გამოუყენებლობამ შესაძლებელია სრულ უმეცრებამდე მიიყვანოს ერიც და ერთი ცალკეული ადამიანიც. ნურავის ეწყინება, აკი ასეც არის, გზად შემხვედრ გალსტუკიან ადამიანს, თავი სწავლული რომ ჰგონია და ხელთ ე.წ. პროფესორის ჩანთაც უკავია, ეკითხებიან: ვინ დაწერა ნაწარმოები „გლახის ნაამბობი“?, პასუხი: ალექსანდრე ყაზბეგმაო და რამდენი ასეთი უსირცხვილობა და უვიცობა...

ახლა ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა აშკარად განუდგა წიგნს, გართობა ქუჩებში და პარკებში სეირნობა, სპორტული თამაშები, ცეკვა და სიმღერა, ძალიანაც კარგია, მაგრამ წიგნი?

– ვინ რომელი წიგნი წაიკითხა ამ ზაფხულის განმავლობაში? დასმულ შეკითხვაზე ქალაქის სკოლების მოსწავლეთა დიდმა რაოდენობამ თითქმის ცინიკურად გაიღიმა და არაფერიო, გვიპასუხა. სამწუხაროდ, პედაგოგებმაც. და ისევ სამწუხაროდ, ნებისმიერმა გზად მიმავალმაც. არადა, წიგნი ეძებს მკითხველს. შევეცდებით წიგნის პოპურარიზაციის მიზნით რუბრიკით „ახალი წიგნები“ მოგაწოდოთ ინფორმაცია ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ გამოცემებზე, რაც ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მხრიდან იმის ცდა და სურვილი იქნება, რომ გავზარდოთ ინტერესი წიგნის მიმართ. მაშ ასე,

კარლ სეიგანი – მსოფლიო ბესტსელერი „კოსმოსი“, ის გამოცემაა, რომელიც ძალიან საინტერესოდ მო-უთხრობს მკითხველს სამყაროს, სიცოცხლისა და ცივილიზაციის, ეკოლოგიის შესახებ. წიგნში 13 თავია, ყველაზე მთავარი კითხვა ასეთია: „ვინ აგებს პასუხს დედამიწის კეთილდღეობაზე“ ეს გამოცემა ფრიად საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

„ქართული ენის გრამატიკა ზარმაცებისათვის“ – ზინა გაბიჩვაძის ეს წიგნი მართლაც რომ ზედმისწრებაა იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ქართული ენის გრამატიკას არ ან ვერ სწავლობენ, არადა, ენათმეცნიერება – მორფოლოგიით, სინტაქსით, ლექსიკოლოგიით, სემანტიკით, ეტიმოლოგიით, სტილისტიკით ის აუცილებელი მიმართულებებია, რომელიც გვასწავლის, როგორ ვიმეტყველოთ და ვწეროთ სწორად, გამართულად, ლოგიკურად და ჭეშმარიტად ქართულად.

ისე რომ, სხვა ბევრ წიგნთან ერთად ეს სამი წიგნიც ეძებს მკითხველს, მიაკითხეთ ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკას და იქ თქვენ სიკეთით, სიხარულით მოგემსახურებიან.

ლია მარტაშვილი



სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრული ქვეყანა

წიგნის თაროზე გამოჩნდა რუსთავში მცხოვრები და მოღვაწე მწერლის, დავით შერგელაშვილის პროზაული კრებული – „სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრული ქვეყანა“. წიგნის რედაქტორია ცნობილი ფილოსოფოსი გიორგი ბერძენიშვილი, გარეკანის მხატვარი – ირაკლი დათუკიშვილი.

წიგნს არ აქვს წამძღვარებული რედაქტორის წინასიტყვაობა, არც ავტორის ტრადიციული – „ჩემს მკითხველებს“, რაც მკითხველს თავიდან აცილებს რედაქტორისეული შეფასების გავლენაში მოქცევას და ტოვებს მას საკუთარ ფიქრებთან და შთაბეჭდილებებთან...

წიგნის სათაურად გამოტანილი ამავე სახელწოდების მოთხრობა მინიატურებზე აგებული თხრობაა. ლიტერატურის მოყვარული მკითხველი ამ მოთხრობას პირველად რამდენიმე წლის წინ, ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებიდან გაეცნო და დიდი ინტერესითაც... თითოეული მინიატურა: ბექა, მამა, გიო, ლეო, დედა, მარი, ისევ გიო, ლეო, ბექა... ერთი შეხედვით ცალკე, დამოუკიდებელი თხრობაა, მაგრამ თითოეულ მათგანს, ცალკე აღებულს და ყველას, ერთი საერთო რამ აკავშირებს და ამთლიანებს... ეს ერთი საერთო რამ კი არის სწორედ ის, რისთვისაც ეს მოთხრობა დაიწერა და მიეძღვნა მკითხველს... ეს არის აღწერილ პერიოდში მიმდინარე მოვლენებზე, მომხდარსა და არმოსახდენზე, ყველასა და ყველაფერზე საკუთარი, დამოუკიდებელი აზრი, თამამად, თავისუფლად გამოთქმული.

ზოგიერთი მინიატურა ხასიათდება თავისუფალი მსჯელობითა და დასკვნითაც, წინააღმდეგობრიობითაც საყოველთაოდ აღიარებული კონკრეტული შეფასებების მიმართ, რაც ერთდროულად მინიატურის პერსონაჟისეულიცაა და ავტორისეულიც და რაც შეიძლება არა ერთი მკითხველისთვისაც გასაგები და მისაღები თუ არა, საინტერესო და, ამასთან, საკუთარ მოსაზრებებში უკეთ გარკვევის და გარკვეულის უკეთ შეფასების საწინდარი მაინც იყოს... საუბარია რამდენიმე მინიატურა ბექა-დან ერთ-ერთზე.

ამ მოთხრობას კიდევ მოსდევს მინიატურები: ყაჩაღი, ბედნიერება, ლამაზი ქალი, ხორხე ლუის ბორხესი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ასევე მეტად საინტერესო აზრები და ლიტერატურული ნარკვევების ციკლი. და ისევ ბორხესი, რომელიც „ირონიულად უყურებდა ნაციონალურ ფანატიზმსა და პროფესიონალ პატრიოტებს“.

ალბათ, ჩვენს დღევანდელობაში, იშვიათია მხატვრული პროზის კრებული, რომელშიც ასე თვალნათლივ, ასე სისავსით ჩანს მსოფლიო ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიის ცოდნა, ავტორის მიერ შესწავლილი, გაცნობიერებული, გააზრებული და გათავისებული და მკითხველისათვის მხატვრული ფორმით შეთავაზებული... მისი პიროვნება და ინტელექტი.

და კიდევ: წიგნში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი თარგმანებს. დავით შერგელაშვილი მკითხველს სთავაზობს გერმანელი იასპერსის, დანიელი კირკეგორის, ასევე ჩინელი იუან მეის და პუსუნ-ლიმის რუსულიდან გადმოქართულებულ ნაკვევებს.

ამ წერილს არ აქვს დავით შერგელაშვილის პირველი წიგნის – „სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრული ქვეყანა“ – მიმოხილვა და შეფასება. ეს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის წერილია. ერთი რამ კი აუცილებლად უნდა ითქვას: „სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრული ქვეყანა“ ფორმატით მცირე მოცულობის წიგნია, მაგრამ შინაარსით: სათქმელით, ნათქვამით კი საკმაოდ ტევადი, რაც მწერლის დიდი მიღწევაა! ეს წიგნი არ არის უბრალოდ წასაკითხი, თვალის გადასავლები, თუნდაც გასართობი, ეს არის შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურულ-ფილოსოფიური მხატვრული პროზის ნიმუში, რომელიც მკითხველს სიღრმისეულად დააინტერესებს, ჩასაფიქრებელზე ჩააფიქრებს, გაუჩენს უამრავ კითხვას და კითხვებზე პასუხებსაც აძებნინებს... მთავარი კი ისაა, რომ ამ კითხვებზე პასუხების ძებნისას ის ისევ და ისევ უფრო მეტად და მეტად ჩაუღრმავდება „სიმინდის მარცვლებით შემოსაზღვრულ ქვეყანას“..

აქვე ჩემს, სრულიად ბუნებრივსა და მოსალოდნელ გაკვირვებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ რუსთაველ მწერალთა პერიოდულ გამოცემაში ავტორთა შორის დავით შერგელაშვილი არ არის... რატომ?

ეს ჩემგან და, დანარჩენი წიგნიერმა მკითხველმა განსაჯოს...

თინათინ სიყმაშვილი

„რუსთავქალაქობა„ ღონისძიებებით აღინიშნა

„ახალი ქალაქი დიდი ისტორიით“ - სწორედ ამ სლოგანით და ქალაქის ახალი ლოგოტიპით შეხვდნენ წლევანდელ „რუსთავქალაქობას” რუსთავში.

ქალაქის დღის აღსანიშნავი ღონისძიებები სამ სხვადასხვა ლოკაციაზე: ცენტრალურ პარკში, იპოდრომზე, ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელ ხიდთან კოსტავას გამზირზე გაიმართა.

ნინო ლაცაბიძე: -„რუსთავქალაქობას“ ვულოცავ ჩვენს ქალაქს. მინდა, ვისურვო ჩვენი ოჯახის და თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობა, მშვიდობა ჩვენს ქალაქსა და ქვეყანაში, ასევე ძალიან დიდი მოტივაცია, რომ რუსთავი გახდეს უკეთესი და ამაში ყველამ საკუთარი წვლილი უნდა შევიტანოთ. წელს გავითვალისწინეთ ყველა სურვილი, რომელიც მოსახლეობას ჰქონდა და ღონისძიებები რომელიც ყველა ასაკის და გემოვნების ადამიანზე იყო მორგებული, სამ სხვადასხვა ლოკაციაზე გავმართეთ. „რუსთავქალაქობაზე“ არ გვაქვს მოსაწვევები, რადგან ეს დღე ყველა რუსთაველის დღესასწაულია“.

რუსთავის მერიის ორგანიზებით, ცენტრალური პარკი მთელი დღის განმავლობაში ბავშვთა გასართობი, შემეცნებითი და სპორტული აქტივობებით იყო დატვირთული, მოეწყო ანიმაციური ფილმების ჩვენება, ჩატარდა საბავშვო მუსიკალური წარმოდგენა, სხვადასხვა ლოკაციებზე გაიმართა ანიმატორებისა და ზღაპრის გმირების მსვლელობა, ასფალტზე ცარცით ხატვა, ილუზიონისტისა და საპნის ბუშტების შოუ.

სამრეწველო და კულინარიულ ფესტივალს უმასპინძლა რუსთავის იპოდრომმა, სადაც რუსთაველ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და კულინარიული ფესტივალი გაიმართა.

„რუსთავქალაქობის“ ღონისძიებებს საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შატაკიშვილი და პარლამენტარი ალექსანდრე დალაქიშვილი ესწრებოდნენ.

ირაკლი შათაკიშვილი: - „რუსთავქალაქობას“ ვულოცავ ჩემს ქალაქს და თანაქალაქელებს, მინდა ვისურვო მშვიდობა, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის განვითარება და წინსვლა.

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ჩვენს „ახალ ქალაქში დიდი ისტორიით“, ძალიან ლამაზი, მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებებით სავსე დღე გვქონდა და „რუსთავქალაქობა“ ყველამ ერთად ვიზეიმეთ“, - განაცხადა რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ირაკლი შატაკიშვილმა.

„რუსთავქალაქობის“ კულმინაცია გალა-კონცერტი იყო. გალა- კონცერტზე რუსთავზე შექმნილი ოთხი სიმღერის პრემიერა შედგა, რომლებიც ლაშა ნოზაძემ, ჯგუფმა „მგზავრებმა“, ნეკა სებისკვერაძემ, „რეზო და ბავშვებმა“ შეასრულეს.

კლასიკური მუსიკის საღამოზე, რომელსაც ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა, მუსიკალურად კი მაესტრო ნიკა ნიკვაშვილი და კამერული ორკესტრი აფორმებდა, სხვადასხვა პროფესიისა და სფეროს წარმომადგენლების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. რუსთაველებს, რომლებიც ქალაქის დღევანდელობას ქმნიან და თანამედროვე რუსთავის განვითარებაში საკუთარი წვლილი შეაქვთ, მადლობა გადაუხადეს და სიმბოლური საჩუქარი გადასცეს.

სადღესასწაულო საღამო, ჯგუფ „რეგიონის კონცერტით დასრულდა

შპს „გაზეთი რუსთავი“
რუსთავი
დირექტორი ლერი ბარათელი
რედაქტორი თემურ კობახიძე
გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
599 233-390, 599 908-918
e-mail:gazetirustavi@gmail.com
მისამართი: რუსთავი, მეგობრობის 32, სასტუმრო „რუსთავი“, მე-2 სართული